ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 350

9 აგვისტო
"---"-------- 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის" დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 106[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის" დაფუძნების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 2 აგვისტოს №22.1183.1277 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის" დაფუძნების შესახებ.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით, .

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე